დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტარიელ სივსივაძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:.

1. ნესტან სიხარულიძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ნათია დარსაძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
3. ნინო გულმაგარაშვილი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
4. ინგა ჯაფარიძე-უცხო ენათა საგნობრივი ექსპერტი
5. თამარ დეკანოსიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. გიორგი ჩაჩუა-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. როლანდი ხოჯანაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ნონა გორგილაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ლელა მანგოშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**233727811**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგვზიანი
ფაქტობრივი მისამართი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგვზიანი.
საფოსტო ინდექსი	**2810**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nigvziani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577971150**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 23 0001081265 05.09.2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	18-19 სექტემბერი.2023 წელი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწებითი საფეხურის ზოგადსაგანმამნათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგვზიანი
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმამნათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგვზიანი
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმამნათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგვზიანი

თვითშეფასების ფორმაში სკოლას ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართში მითითებული ჰქონდა სოფელი არჩეული, თუმცა 2023-2024 სასწავლო წლიდან აღნიშნულ შენობაში სასწავლო პროცესი აღარ მიმდინარეობს.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის სკოლაში ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ოქტომბერს. ვიზიტის დღის წესრიგი შეთანხმებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ვიზიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა სრულ მზადყოფნაში დაგვხვდა. მობილიზებული იყო სკოლის

პედკოლექტივი, დირექცია და ადმინისტრაცია. ვიზიტმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. 13:00 საათიდან დავიწყეთ online შეხვედრები სკოლის კათედრების წარმომადგენლებსა და საგნობრივ ექსპერტებს შორის. ჩართვისას ტექნიკური სახის პრობლემები არ შეგვქმნია. დრო გამოყენებული იქნა მაქსიმალურად ეფექტიანად. ყველა კათედრასთან გასაუბრება განხორციელდა ვიზიტის პირველ დღეს. ექსპერტთა ჩართვას ორგანიზებას უწევდა საბუნებისმეტყველო საგანთა ექსპერტი. მთელი სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საავტორიზაციო პროცესში ჩართული იყო ბრძანებით განსაზღვრული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, როგორც ცენტრის სპეციალისტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განვახორციელეთ სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება, ასევე, ადგილზე მოხდა სასწავლო რესურსების, ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის დათვალიერება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტთან ერთად შევისწავლეთ საგანმანათლებლო რესურსები ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის მიმარულებით(სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, სრულად გამართული საბუნებისმეტყველო საგანთა ლაბორატორიები, რომლებიც მოქცეულია ერთ სივრცეში). ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მუშაობდა სასკოლო დოკუმენტაციასთან, აზუსტებდა მნიშვნელოვან საკითხებს. ვიზიტის მთელი პროცესი წარიმართა კეთილგანწყობილ გარემოში. ვიზიტის მე-2 დღე ასევე გამოყენებული იქნა სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობის, დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სპეციალური მასწავლებლებთან გასაუბრებისათვის. დავათვალიერეთ და გავეცანით სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისის თაობაზე ინაფორმაციას, დოკუმენტაციას. დღის ბოლოს შევხვდით სკოლის კოლექტივს, რაც ასევე საქმიანად წარიმართა. სკოლის წარმომადგენლებს გავუზიარეთ ჩვენი მოსაზრებები სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, წარმოებული დოკუმენტაციის, სასკოლო პროცესების, სკოლის თვალსაჩინოდ ძლიერი მხარეების და გამოსასწორებელი ხარვეზების შესახებ. ავტორიზაციის ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები გაზიარებული იქნა სკოლის წარმომადგენლების მიერ. დაწესებულების პერსონალი გამორჩეული მიმღებლობითი კულტურის მატარებელია, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ ჯგუფის მოსაზრებები ამ უკანასკნელთაგან აღქმული იქნა შემდგომი პროცესების დაგეგმვის და განვითარების წინაპირობად.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის საავტორიზაციო ჯგუფს ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ სკოლას გააჩნია ყველა სახის რესურსი, მის მიერ შემუშავებული მისია-ხედვა-ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტების საფუძველზე განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები საგანმანათლებლო პროცესის კიდევ უფრო გამრავალფეროვნების, ხარისხის ზრდადობისა და სასკოლო საზოგადოების კიდევ უფრო გააქტიურების მიმართულებით, რაც აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გადააქცევს თემისა და მუნიციპალიტეტისათვის წარმატებული პრაქტიკის მქონე სოციო-კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებად.

სკოლის მიერ გამოგზავნილ თვითშეფასების განაცხადში სკოლა წარმოდგენილი იყო ორ მისამართზე ორი კორპუსით: სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა , ძირითადი კორპუსი - დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური (საკადასტრო კოდი N27.09.46.039 ს/კ 233727811) და სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა - არჩეულის დაწყებითი კორპუსი - დაწყებითი საფეხური (საკადასტრო კოდი N 27.14.53.012 საიდენტ/კ 233727811) ; ვიზიტის დროს ექსპერტებმა ადგილზე შევისწავლეთ სოფელ არჩეულის დაწყებითი კორპუსის მდგომარეობა, სადაც 2023-2024

სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესი აღარ მიმდინარეობს. შენობა ორსართულიანია, სასწავლო ფართად გამოყენებული იყო მე-2 სართულზე განთავსებული ორი ოთახი. შენობა სრულად სარეაბილიტაციოა, ამასთან ერთად, ბოლო დროს გააქტიურებული მეწყრული პროცესების გათვალისწინებით, სკოლის ტერიტორია არ წარმოადგენს უსაფრთხო სივრცეს. სკოლის შენობას უკანა მხარეს ესაზღვრება ფერდობი, სადაც უკვე გამოკვეთილია ხსენებული პროცესები. სკოლაში გასულ სასწავლო წელს სწავლობდა 8 მოსწავლე(დაწყებითი საფეხური). 2023-2024 სასწავლო წლიდან აღნიშნული მოსწავლეები გადმოყვანილ იქნენ მთავარ კორპუსში(მათ ემსახურება სასკოლო ტრანსპორტი, მანძილი შეადგენს 3 კილომეტრს ძირითად კორპუსამდე). 2023 წლის 19 ოქტომბრის N1407233 კორესპონდენციით სკოლამ მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, სოფელ არჩეულის კორპუსთან დაკავშირებით, რომ არ ყოფილიყო განხილული ავტორიზაციის მიზნებისთვის, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფიც ეთანხმება.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერის და სასკოლო გარემოში ადაპტაციის წარმატებული პრაქტიკა. სკოლაში ირიცხება 11 სსსმ მოსწავლე, რომელსაც დახმარებას უწევს 2 სპეციალური მასწავლებელი. აღნიშნულ მასწავლებელთაგან ერთი არის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე. სწორედ ამ პირის აქტიურობით, თავის დროზე გადაიდგა პირველი ნაბიჯები სსსმ მოსწავლეებისაგან თეატრალური კლუბის შექმნასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ მხარდაჭერილი ეს ინიციატივა საფუძვლად დაედო სსსმ და ტიპური მოსწავლეების ინტეგრირებული თეატრალური კლუბის ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესს. თავდაპირველად, ხსენებული კლუბი წარმოდგენებს მართავდა სასკოლო ღონისძიებების დროს(სკოლაში), შემდგომ პერიოდში

სამოქმედო არეალი გაფართოვდა და რაიონული მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ, მოგვიანებით (2022 წელს) მიწვეულები იყვნენ რეგიონალურ დონეზე გამართულ ფესტივალებში(მათ შორის სიღნაღსა და ბათუმში), ამ ეტაპზე მიპატიჟებულები არიან გორსა და ზუგდიდში. სკოლის დირექტორი და პროცესებში ჩართული პირები აღნიშნავენ, რომ ასეთი აქტივობების შედეგად სსსმ მოსწავლეებს განუვითარდათ კოგნიტურ-შემეცნებითი უნარები, ავლენენ სიახლეების ათვისების მზარდ სურვილი, ჩამოუყალიბდათ სასკოლო საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის განცდა, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო გარემოსთან და თანატოლებთან მათ ინტეგრაციას. სოფელ ნიგვზიანის სკოლას გააჩნია წარმატებული გამოცდილების აღიარების ძალიან საინტერესო მექანიზმი. სკოლის დასაქმებული პირების ან მოსწავლეთა მხრიდან რაიმე სახის წარმატებული აქტივობის განხორციელებისას(მასწავლებლბის შემთხვევაში კონფერენციებში მონაწილეობის, კონკურსებში, პროექტებში გამარჯვების მიღწევისას, ასევე, მოსწავლეების მხრიდან ოლიმპიადებში, პროექტებსს და შეჯიბრებებში მიღწეული მაღალი შედეგების დროს) დირექტორი სასკოლო საზოგადოების თანდასწრებით აჯილდოვებს წარმატებულ პირებს. წარმატებული გამოცდილების აღიარების მაგალითად გამოდგება სკოლის დამსახურებული მასწავლებლისათვის ვარსკვლავის გახსნა, ინფორმაცია და ფოტოები აღნიშნულის შესახებ სკოლას ატვირთული აქვს ფბ-საკუთარ გვერდზე.

ნაწილი **II:** სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის **I, III** და **IV** სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი **1** სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **1.1** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **1.2** სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი **3** სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.1** პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.2** პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი **3.3** პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.4** ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.5** მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.6** საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **3.7** ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი **4** მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი **4.1** მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი **4.2** მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(*იმ შემთხვევაში*,* თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას*)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით**.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**,** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**,** ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**.**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი ***1***	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი ***4***	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი		

სტანდარტი ***2***	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი *1*	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		.....
სტანდარტი *3*	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით უზრუნველყოს: ა)სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობის თაობაზე დასკვნის მოპოვება ბ)საგანგებო მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსათან შეთანხმება გ)სკოლის შენობის მდგრადობის დოკუმენტის(დასკვნის) მოპოვება

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი *4*	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

სტანდარტი *2*	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი *1*	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა, დააკონკრეტოს სკოლის მისია, ხოლო ხედვა წარმადგინოს დროში გაზომვადი მექანიზმით.
ინდიკატორი 1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	. სკოლას მიეცა რჩევა, მისიასა და ხედვაში გამოკვეთოს საკუთარი როლი, **როგორც** სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შემქნელმა

ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რჩევა, სტრატეგიული გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში სკოლის ფილოსოფიასთან(მეტად დააკონკრეტოს სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადები, პასუხისმგებელ პირთა წრე და რესურსები)
სტანდარტი ***3***	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის განვითარება განახორციელოს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი 3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლას მიეცა რჩევა**,** კიდევ უფრო აქტიური გახდეს სკოლის სტრუქტურული ერთეულების საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულობა, ეფექტური გახდეს მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური კადრთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით

ინდიკატორი 3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს ადამიანებისადა პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და მისი შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისათვის
ინდიკატორი 3.7.1.1.	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;	სკოლას მიეცა რჩევა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავოს ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.
სტანდარტი **4**	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის თანამშრომელთაგან განისაზღვროს პირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მოსწავლეთა ადაპტირების პროცესს.
ინდიკატორი 4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლას მიეცა რჩევა, გააფორმოს მემორანდუმი რაიონის/რეგიონის მასშტაბით არსებულ პროფესიულ სასწავლებელთან, ასევე, მუნიციპალიტეტში არსებული შრომის ბაზრის გათვალისწინებით უზრუნველყოს მოთხოვნადი პროფესიების იდენტიფიცირება და დაგეგმოს აქტივობები ამ მიმართულებით .
ინდიკატორი 4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სკოლას მიეცა რჩევა, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს კითხვარები(ჩაატაროს კვლევა) და ინტერვიუები სასკოლო საზოგადოების ფოკუსჯგუფებთან, ხოლო

		შედეგები გათვალისწინებული იქნას შემდგომი სემესტრში/სასწავლო წლისათვის.

სტანდარტი **2**	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	სასურველი იქნება უცხო ენის კათედრამ მომავალში შეიმუშავოს მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის მიღების მექანიზმი სასწავლო პროცესებთან, ამათუ იმ დავალებასა თუ აქტივობასთან დაკავშირებით
ინდიკატორი 2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	მუსიკა: სასურველია მშობელთა ჩართულობის დამადასტურებელი მექანიზმების შემუშავება კათედრის მიერ
ინდიკატორი 2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინე დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	სასურველი იქნება თუ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უფრო მკაფიოდ იქნება ასახული სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული დავალებები და აქტივობები, თემების მიხედვით გაწერილი
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	რჩევა : მნიშვნელოვანია განმავითარებელ შეფასებაში მკვეთრად მიუთითოთ რა მოლოდინები გაქვთ მოსწავლისაგან. მნიშვნელოვანია აგრეთვე მშობლის ინფორმირება მისი შვილის განვითარების დინამიკის შესახებ, რომელიც დაეყრდნობა თქვენს მიერ განხორციელებულ დავალებებს და იმ დაკვირვებებსა და უკუკავშირებს, რომელსაც თქვენ გასცემთ.

ინდიკატორი 2.2.1.4.	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	სკოლას მიეცა რჩევა: საზოგადოებრივ მეცნიერებებში კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს გარდა მრავალფეროვანი რესურსების შეთავაზება V-VI კლასში, რომ მოსწავლემ შეძლოს ფართო სპექტრით ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა.
ინდიკატორი 2.2.2.1.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	სკოლას მიეცა რჩევა, 2023/24 სასწ.წლის განმავლობაში განახლებული იქნას დაწყებითი კლასების კურიკულუმი(ახალი ჩარჩოს შევსება განხორციელდეს ძველი კურიკულუმის ჩარჩოზე დაყრდნობით).
სტანდარტი **2**	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	სასურველი იქნება თუ უცხო ენის კათედრას მომავალში შემუშავებული ექნება მშობლელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის მიღების მექანიზმი სასწავლო პროცესებთან, ამათუ იმ დავალებასა თუ აქტივობასთან დაკავშირებით
ინდიკატორი 2.1.2.3.	დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.	უცხო ენა-წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზში კარგი იქნება გამოკვეთილი იყოს შედეგების საფუძველზე გამოვლენილი მოსწავლეთა ტიპიური საჭიროებები, რომლის გათვალისწინებითაც წარიმართებოდა სწავლების შემდგომი პროცესები.
სტანდარტი **2**	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა

	საშუალო საფეხური	
ინდიკატორი 2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	სასურველი იქნება თუ უცხო ენის კათედრას მომავალში შემუშავებული ექნება მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის მიღების მექანიზმი სასწავლო პროცესებთან, ამათუ იმ დავალებასა თუ აქტივობასთან დაკავშირებით

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისაგან გაზიარებული იქნა ამავე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის პროცესში დახარვეზებული ინდიკატორების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და მიიჩნევს, რომ მათ შესრულებას საფრთხე არ ემუქრება. ინდიკატორები 1.2.1.4., 3.1.2.4., 3.4.1.1., 3.6.3.1., 3.6.3.4., 3.6.3.5. და 2.1.2.2. თავიდან შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის და სათანადო დამამტკიცებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ეს ინდიკატორები სრულად არის დაკმაყოფილებული(3.4.1.1.-ის გარდა), რის გამოც შეიცვალა შეფასება და გახდა „სრულად შესაბამისი,“ ხოლო ინდიკატორები **3.4.1.1.** შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასებული ერთი ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილება სკოლას შეუძლია ერთ კალენდარულ წელზე მოკლე ვადაში.

ნაწილი **III.** სტანდარტების აღწერა და შეფასება **(I, III** და **IV** სტანდარტი**)**

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია**,** ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, აქვე უნდა აღინიშნოს ,რომ მისია და ხედვა ჩამოყალიბებულია ზოგადად, ისე, რომ არ ჩანს ამ კონკრეტული სკოლის როლი ადგილობრივი თემის ან მუნიციპალიტეტის მიმართ. მისია-ხედვა-ღირებულებები მიღებულია ცალკე დოკუმენტის სახით. სკოლას მიეცა რჩევა, დააკონკრეტოს სკოლის მისია, ხოლო ხედვა წარმადგინოს დროში გაზომვადი მექანიზმით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიაში ცალსახად არის მითითებული, რომ სკოლის მიზანია, აღზარდოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე წარმატებული, ღირსეული, დამოუკიდებელი, შემოქმედი, კრიტიკულად მოაზროვნე, კანონმორჩილი

მოქალაქე. სკოლას მიეცა რჩევა, რომ მისიასა და ხედვაში ასევე წარმაჩინოს საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შემქმნელმა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ირკვევა, რომ მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების გარკვეული ნაწილის ჩართულობით. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის მიერ შედგენილ ჯგუფში გაერთიანებულები არიან სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი. სკოლას მიეცა რჩევა, მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტის გაფორმებული ვერსია გამოაკრას სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, გაუწიოს ამ დოკუმენტს ფართო პოპულარიზაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების შინაარსი ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნული დოკუმენტი მიღებულია ფართო კონსენსუსით, განხილულია პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების მიერ, თუმცა სკოლის ვებგვერდის უქონლობის გამო აღნიშნული დოკუმენტის საჯარო სივრცეში განთავსება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე, ყველა დაინტერესებული პირისა და სკოლის სივრცეში მყოფი ადამიანისათვის. რაც შეეხება მის საჯაროობას, ვიზიტის პერიოდში, ვებ-გვერდის უქონლობის გამო საჯარო სივრცეში არ იყო განთავსებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, ამ ეტაპზე ვებ.გვერდი მოქმედია და მასზედ განთავსებულია ზემოთ მითითებული დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დასახელება-სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა-შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებულ "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი

2. 2023/24 სასწ.წლის გეგმა.

3. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი.

4. ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გაწერილია სტრატეგიული დაგეგმარების ინიცირება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის რეგულაციები, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები(გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, სოციალური პასუხისმგებლობის და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ დამტკიცებული(2023 წლის სექტემბერი) სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი არის შვიდწლიანი, ციკლური. იგი შემუშავებულია სკოლის ახალი მისია-ხედვა-ღირებულებების გათვალისწინებით. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით, სკოლის საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე. სტრატეგიული მიზნები მიმართულია სწავლა-ასავლების ხარისხის ამაღლების, სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების, სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფის და უსაფრთხო გარემოს სტანდარტის ამაღლებისაკენ. ამ ყველაფრის ფონზე დასახვეწია სტრატეგიული ამოცანების განხორციელების ვადები და პასუხისმგებელ პირთა წრის ვალდებულებები, ასევე, საჭირო რესურსის შესახებ ინფორმაცია გამოკვეთილი არ არის. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რჩევა, მეტად დააკონკრეტოს სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადები, პასუხისმგებელ პირთა წრე და რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გარკვეულწილად ეფუძნება სტარტეგიული დაგეგმარების დოკუმენტს. სამოქმედო გეგმა ძალიან ზოგადია და საჭიროებს უფრო არგუმენტირებულ დასაბუთებას. სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტები თითქმის ერთ პერიოდშია მიღებული, აქედან გამომდინარე, სამოქმედო

გეგმაში ვერ იქნება გათვალისწინებული სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 1.2.1.3. ინდიკატორის შეფასება შეუძლებელია.

4. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. სამოქმედო გეგმა ძალიან ზოგადია, მასში არ ჩანს ის რესურსები(არ არის დაკონკრეტებული, რა ფინანსურ-მატერიალური რესურსის გამოყენებით აპირებენ სკოლის თუნდაც მატერიალური ბაზის განახლებას), რაც საჭიროა ამ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისათვის, ასევე, დასაკონკრეტებელია პასუხისმგებელი პირების საკითხი და შესაბამისი ქმედებების განხორციელების ვადები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 2023/24 სასწ.წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განახლებული(სრულყოფილი) ვერსია, რომელიც დაფუძნებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე და სრულად თავსებადია მოქმედ სტანდარტთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
სტრატეგიული განვითარების გეგმა
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
ინტერვიუ სკოლის დირექციასთან
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ მაინც, დირექტორის მიერ შექმნილი ჯგუფის მიერ. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, რომლის შედეგებიც განთავსდება სკოლის ვებ.გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ ამ უკანასკნელს სიღრმისეულად აქვს გააზრებული სასკოლო პროცესებში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების მნიშვნელობა. აგრეთვე ის, რომ სწორედ მონიტორინგის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლოა განაპირობოს საჭირო და დროული ცვლილებების შეტანა გეგმაში. იმის გამო, რომ სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი მიღებულია ა.წ. სექტემბერში, სკოლას არ განუხორციელებია რაიმე სახის მონიტორინგი, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.

3. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი მიიღო(დაამტკიცა) 2023 წლის სექტემბერში, ამ ეტაპზე ინდიკატორი 1.2.2.3. შეფასებას არ ექვემდებარება.

4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია რეგულაცია ხსენებული გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პერიოდების შესახებ(ყოველი წლის ბოლოს, სამოქმედო გეგმის ანგარიშის საფუძველზე), იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი მიღენულია 2023 წლის სექტემბერში, მისი მონიტორინგი ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. ამდენად, ინდიკატორი 1.2.2.4. ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა მკაფიო დოკუმენტი, სადაც მოცემულია თოთოეული მათგანის მოქმედების სფეროს აღწერილობა და კომპეტენციები. სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 448-ე დამტკიცებული, საჯარო სკოლის წესდებით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული, მასვე ემატება უფრო მოგვიანებით შექმნილი კოლეგიური ორგანო-მრჩეველთა საბჭო. სკოლას აქვს ამ სტრუქტურული ერთეულების

სქემატური გეგმა, რომელზეც აღნიშნული ორგანოები განლაგებულნი არიან მათი იერარქიის, კომპეტენციების და უფლებათა დელეგირების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სკოლის სტრუქტურული ერთეულების მოწესრიგებული იერარქიული განლაგება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს სკოლის მიერ ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის. სტრუქტურული ერთეულებიდან აღსანიშნავია საგნობრივი კათედრების როლი ზემოთ აღნიშნული საქმიანობის მიმართულებით. სასწავლო წლის დასრულებისთანავე კათედრები იწყებენ ზრუნვას ახალი სასწავლო წლის უკეთ მომზადებისათვის. სკოლაში ვიზიტისას დავათვალიერეთ კათედრების მიერ დირექტორისათვის წარდგენილი ანგარიშები, რომელშიც გამოკვეთილია როგორც მიმდინარე წლის შემაჯამებელი მონაცემები, ისე სამომავლო ხედვები. სკოლის სამეურვეო და პედსაბჭო ჩართულები არიან სასწავლო პროცესის მოსამზადებელ სამუშაოებში(პირველსავე ეტაპზე, სექტემბრის დასაწყისიდან). რაც შეეხება მრჩეველთა საბჭოს, ამ მხრივ სკოლას მეტი აქტიურობა მართებს, რადგან ეს რგოლი აშკარად გასაძლიერებელია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის სტრუქტურული ერთეულების სქემატური გეგმა
სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა აღმწერი დოკუმენტი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დასაქმებულია 27 მასწავლებელი, ამ რიცხვიდან 22 არის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელი, ხოლო 5 მასწავლებელი წამყვანია. აღნიშნულის გარდა სკოლაში დასაქმებულია 11 პირი(ადმინისტრაცია-ტექ.პერსონალი). სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუსავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს პერსონალის პრევენციული და ინტერვანციული მართვის პრაქტიკა, ასევე, მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღნიშნული აქტის მიხედვით, დასაქმებული ვალდებულია, სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე(ფორსმაჟორის დროს) სკოლას აცნობოს ერთი საათით ადრე მაინც, რის საფუძველზეც ხორციელდება აღნიშნული პირის ჩანაცვლება. სკოლა აწარმოებს მასწავლებელთა გაკვეთილების გადანაცვლება/ჩანაცვლების ჟურნალს, სადაც შეაქვს შესაბამისი მონაცემები. ამ მონაცემების და სამუშაო დროის აღრიცხვის ჟურნალის საფუძველზე სკოლის პერსონალს ერიცხება კუთვნილი სახელფასო თანხა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში დასაქმებული კადრების ძირითადი ნაწილი დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაშია ათეული წლების განმავლობაში, თუმცა სკოლას ასევე აქვს კადრების კონკურისი წესით მოწვევის პრაქტიკა. 2022 წლის სექტემბერში, ფრანგული ენის ვაკანტურ საათებზე სკოლამ გამოაცხადა ღია კონკურსი, დაამტკიცა საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და კონკურსის დებულება, რის საფუძველზეც შერჩეული იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, ვისთანაც გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. იგივე პროცესი განვითარდა სკოლის ექიმთან დაკავშირებითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პერსონალიდან მასწავლებლების კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია, ყველა მათგანი არის სტატუსიანი(ერთი სპეციალური მასწავლებელია პრაქტიკოსის სტატუსის მქონე და 2025 წლამდე აპირებს ჩააბაროს გამოცდა). პერსონალის პირადი საქმეები ვერ ვნახეთ(არ აქვთ ნაწარმოები), ასევე, იმ პირთა საქმეები, რომლებიც 2020 წლის შემდეგ არიან დასაქმებულები, არის მოსაწესრიგებელი(არ იძებნება ნასამართლეობის არქონის, ნარკოლოგიური შემოწმების და სქესობრივი დანაშაულების არქონის ცნობები). სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დასაქმებულ პირთა(ვისი პირადი საქმეებიც არ იყო სრულყოფილი) კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია(ზემოთ ხსენებული ცნობები). აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება იმ ზოგადსავალდებულო სახის წესებით, რომელიც შემუშავებული და მიღებულია ამავე პერსონალის წარმომადგენლებისაგან, კერძოდ, შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მაგრამ დამტკიცებამდე ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, წარმადგინოს ცვლილებათა პაკეტი ან ნორმის მისეული ინტერპრეტაცია. იგივე შეიძლება ითქვას პედაგოგიურ საბჭოსთან დაკავშირებით, სადაც სკოლა ამტკიცებს თავის სასკოლო გეგმას. აქაც, სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის პერსონალი არა თუ მონაწილეობას იღებს სასკოლო პროცესების მართვაში, არამედ გუნდურად არის პასუხისმგებელი ამ პროცესების სწორად წარმართვისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა ახორციელებს თავისი სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. ამისათვის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლას აქვს ერთი ძალიან საინტერესო პრაქტიკა, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოტივაციის ამაღლებასთან. სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის/ჯგუფის მიერ განხორციელებული წარმატებული აქტივობის შემთხვევაში(რომლის დამადასტურებელი ჯილდოები, გამოფენილი ღია სივრცეში, სკოლაში საკმარისი რაოდენობით აქვთ) მთელი სკოლის პერსონალი და მოსწავლეები გამოდიან სკოლის შესასვლელთან მოწყობილ ე.წ. ხაზზე და მათ წინაშე ხდება წარმატებული მასწავლებლების/მოსწავლეებისათვის(ჯგუფისათვის) მადლობის გამოცხადება და სიგელის გადაცემა. ამ აქტივობის დამადასტურებელი ფოტომასალა სკოლას განთავსებული აქვს სოც.ქსელში. დაჯილდოების ამ ფორმის გარდა სკოლას გამოყენებული აქვს ექსკურსიით წახალისება. ასეთი მექანიზმები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების კიდევ უფრო გააქტიურებას და ერთმანეთთან დაახლოებას(გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სკოლას ფუნქციონირება უხდება მულტიკულტურულ გარემოში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი
შინაგანაწესი
ინტერვიუ
შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის შეფასების და მათი განვითარების საჭიროებათა მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში(რომელიც დანერგვის პროცესშია), თუმცა სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა. სკოლას მიეცა რჩევა, მის მიერ მიღებული დოკუმენტის(ადამიანური რესურსების მართვის დოკ) საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განახორციელებს საქმიანობას პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას ახდენს ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე, ასევე, მასწავლებელთა, კათედრის წევრთა და დირექტორის მიერ გაკვეთილზე დასწრების შედეგად განხორციელებული რეფლექსიის შედეგად. სკოლას არ აქვს პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა და არც რაიმე სახის გეგმა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის განვითარება განახორციელოს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას გააჩნია საკუთარი რესურსი, რომლითაც უზრუნველყოფს პერსონალის კარიერულ ზრდას. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის მასწავლებლებიდან ყველა არის სტატუსიანი, მათ შორის 5 მასწავლებელი არის წამყვანის სტატუსის მატარებელი. წამყვანის სტატუსი მასწავლებლებმა მიიღეს ურთიერთთანამშრომლობის, ცოდნის გაზიარებისა და სასკოლო რესურსების გამოყენებით. ვიზიტის დროს, აღნიშნული ჯგუფისაგან შეიმჩნეოდა მზაობა კოლეგების დახმარების მიმართულებით. რაც შეეხება დანარჩენ პერსონალს, გამოკვეთილად შესაძლებელია აღინიშნოს სკოლის ბუღალტერის მიმართულებით აღმოჩენილი მხარდაჭერა პროფესიული უნარების განვითარებასთან დაკავშირებით(სკოლამ საკუთარი სახსრებით მოახდინა მისი გადამზადება).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში შეიმჩნევა კეთილგანწყობილი გარემო, ჩამოყალიბებულია სკოლის თვითმყოფადი კულტურა, მოწესრიგებულია ურთიერთობები მასწავლებელსა და დირექცია-ადმინისტრაციას შორის. სკოლას მიღებული ჰყავს ახალი კადრი(ფრანგული ენის მასწავლებელი), რომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია განხორციელდა წარმატებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა შეძლებისგვარად ახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. ვიზიტის დროს აგვიხსნეს, რომ მასწავლებელთა გარკვეულ ჯგუფს(ე.წ.1-4 კრედიტიანი მასწავლებლები) ქონდა გამოკვეთილი საჭიროება კურიკულუმების შედგენისა და დანერგვის, შეფასების რუბრიკების გამართულობის და ელ.ჟურნალში მონაცემების შეტანასთან დაკავშირებით. აღნიშნული ჯგუფისათვის მხარდაჭერის აღმოჩენა განხორციელდა სკოლის წამყვანი მასწავლებლებისაგან, პრობლემა ნაწილობრივ მოწესრიგდა, თუმცა მხარდაჭერის აუცილებლობა კვლავ არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

შინაგანაწესი
ინტერვიუ
შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ნიგვზიანს საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესები ციკლური ხასიათისაა, ახალი სასწ.წლისათვის მზადება იწყება გასული სასწავლო წლის ანგარიშების საფუძველზე(კათედრების და პედაგოგიური საბჭოს ანგარიშები). 2023/24

სასწ.წლის სასკოლო გეგმის შემუშავების პროცესი დაიწყო 2023 წლის ივნისში, რომელზე მუშაობაც გაგრძელდა სექტემბრის პირველი კვირის განმავლობაში. ახალი სასკოლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ(კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო წლის განმავლობაში, სოფელ ნიგვზიანის სკოლის სტრუქტურული ერთეულები გეგმავენ აქტივობებს, რომლის მიზანიც არის სასწავლო პროცესების ნორმალურ რეჟიმში წარმართვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და დირექციის ჩართულობა. ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება ძირითადი პროცესების ადმინისტრირება(გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევა, ახალი სასკოლო გეგმის მიღება, საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფისათვის რესურსის შეძენა), დამხმარე პროცესებიდან აღსანიშნავია მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება(რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება). სკოლას მიეცა რჩევა, კიდევ უფრო აქტიური გახადოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, ასევე, უფრო ეფექტური გახადოს მრჩეველთა საბჭოს ჩართულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის მოცემული პერსონალის, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დირექციის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელსაც შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს დისციპლინური მოკვლევა. სკოლას ამ დრომდე არ ქონია დისციპლინური სახის წარმოება, არც მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან ყოფილა გასაჩივრებული სკოლის რაიმე სახის გადაწყვეტილება.

4. გარდა შინაგანაწესისა, სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ამ ეტაპისათვის სკოლას არ აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახდენს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, გამოიყენება დასწრებითი ფორმატი, სკოლის მთლიანი პერსონალის შეკრება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების საიფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელში განთავსება, ე.წ. ჩატებსა და მესენჯერ ჯგუფებში გაზიარება. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებ.გვერდი, თუმცა მივიღეთ დაპირება, რომ უახლოეს პერიოდში მოახდენენ ამ უკანასკნელის ამოქმედებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში ფუნქციონირებენ ისეთ კოლეგიური ორგანოები, რომლებიც არჩეულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. სამეურვეო საბჭოში, პარიტეტის საფუძველზე, წარმოდგენილები არიან როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები

და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, სადაც ასევე დაცულია პარიტეტი და წარმომადგენლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმები
პედაგოგიური საბჭოს ოქმები
კათედრების ანგარიშები
შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება, სკოლის ეზო კაპიტალურად არის შემოღობილი, შენობაში განთავსებულია ვიდეოსათვალთვალო სისტემა(რომელიც მთლიანად ვერ ფარავს პერიმეტრს ვერც შიდა სივრცეში და ვერც ეზოში). სკოლას გამოყოფილი ჰყავს დღის დარაჯები, რომლებიც აკონტროლებენ შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას. ღამის პერიოდში სკოლისდაცვას ახორციელებს დაცვის სამსახური. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მორიგეობენ მასწავლებლები(სართულის მორიგეები). სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური. სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის მიმართულებით სკოლას აქვს მიწერილობა, რომელიც ვადაგასულია(2019 წლის 09 დეკემბერს არის შედგენილი) და საჭიროებს განახლებას. სკოლას დაწყებული აქვს პროცედურები ხსენებულ მიწერილობაში ფიქსირებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით(წარმოადგინეს წერილი ესიდასთან)სხვა აქტივობა ამ მხრივ არ შეიმჩნევა. სკოლის შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით მიწერილი აქვთ სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსათვის. რაც შეეხება საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებას, ამ გეგმის შემუშავებაზე სკოლას მუშაობა არ ქონდა დაწყებული. სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური კადრთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით, 2023 წლის 10 ოქტომბრიდან 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში სკოლას ექნება:1.სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასკვნა(შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტში გაგზავნილია წერილი სკოლაში შესაბამისი კვალიფიკაციის პირთა ჯგუფის გამოგზავნის მიზნით, რათა სკოლას ქონდეს მიწერილობა, რის საფუძველზედაც ეს უკანასკნელი გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს). 2უფლებამოსილ ორგანოსთან (შსს) შესათანხმებლად გაგზავნილია საგანგებო მართვის გეგმა. 3. შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით გაგზავნილია წერილი სამხარაულის ეროვნულ ბიუროში და სკოლა ელოდება შენობის შეფასებას. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლა უზრუნველყოფს ზემოთ ხსენებული მანდატურის სამსახურის, სართულის მორიგეების, დღის დარაჯების, ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სკოლა ქმნის მანდატურის სამსახურის წარმომადგენლის, სკოლის ექიმის, ორი სპაციალური მასწავლებლის, დირექციის და კლასის დამრიგებლების მეშვეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მეტ-ნაკლებად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამ ნორმათა უზრუნველყოფა ხორციელდება 3 შტატიანი დამლაგებლით, რომელთაც ეხმარება 2 სოციალური პროგრამის საფუძველზე დასაქმებული პირი. სკოლას მთავარ კორპუსთან ერთად აქვს ცალკე შენობა, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი(სივრცეა საამისოდ), სადაც ასევე მეტ-ნაკლებად არის დაცული სანიტარული ნორმები. სკოლას აქვს დიდი ეზო,(რეესტრის ამონაწერის მიხედვით მისი ფართობი შეადგენს 21177 კვ.მეტრს), რაც საჭიროებს უფრო მეტად მოწესრიგებას. ვიზიტის პერიოდში დავათვალიერეთ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის საჭირო საშუალებების საწყობი და დავრწმუნდით, რომ სკოლას აქვს ყველა რესურსი, ამ კუთხით უზრუნველყოს სრული წესრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის პერსონალის პირადი მონაცემების დაცვას ახორციელებს საქმისმწარმოებელი. მონაცემების ბაზასთან ძირითადად მუშაობს ეს უკანასკნელი. პირადი საქმეები განთავსებულია ცალკე კარადებში(ბაინდერებში აქვთ).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურეობრივ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, სკოლის საქმისმწარმოებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მოპოვებული ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალიწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უნდა ახორციელებდეს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტაციის(ოქმების) შესწავლის საფუძველზე ცალსახად იკვეთება, რომ დასანერგია აღნიშნული მექანიზმების შეფასების პრაქტიკა. სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და მისი შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შიდა და გარე სივრცის დათვალიერება
პერსონალის პირადი საქმეები
ინტერვიუ
შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება *169* ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის შენობა(მთავარი სასწავლო კორპუსი) ორსართულიანია, 2019 წელს განხორციელდა სრული რეაბილიტაცია მილენიუმის პროგრამის ფარგლებში. იგივე პროგრამის საშუალებით მოხდა სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა. სკოლას გააჩნია ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის საგნების უნიკალური ლაბორატორია, ყველა თვალსაჩინოებითა და ხელსაწყოთი, გამართული წყალმომარაგებით, მოქმედი უნივერსალური გამწოვით. ამას გარდა სკოლას გააჩნია სრულად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია(27 ლეპტოპი), დირექცია-ადმინისტრაციისთვის მოქმედია 5 პერსონალური კომპიუტერი, 5 ერთეული პროექტორი, 3 ერთეული მულტიფუნქციური სკანერი, სპორტული დარბაზი(დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია). სკოლას ცალკე შენობაში აქვს განთავსებული ბიბლიოთეკა, მდიდარი წიგნადი ფონდით, იქვე მოწყობილი აქვთ სამკითხველო. იმავე შენობაში განთავსებულია სააქტო დარბაზი. ასევე, აქვთ სივრცე სასკოლო თეატრის ფუნქციონირებისათვის. სკოლა ნაწილობრივ ადაპტირებულია(აქვთ ადაპტირებული სველი წერტილები და პანდუსი). სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა(შეშაზე). სასკოლო ინვენტარი კარგ მდგომარეობაშია, ღია სპორტული მოედნისათვის სკოლას

მომზადებული აქვს ტერიტორია და ცდილობს, მოიპოვოს დაფინანსება. ვიზიტის დროს სკოლაში შემოსახლებული იყო მეზობელი სკოლა(რეაბილიტაციის გამო). სკოლას აქვს ყველა რესურსი, მის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის(250 მოსწ.) დაკმაყოფილებისათვის. ვიზიტის პერიოდისათვის სკოლაში ირიცხებოდა 220 მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში არსებობს სასკოლო რესურსით სარგებლობის მაღალი კულტურა. სასკოლო რესურსი სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. კომპიუტერული ლაბორატორის გამოყენება ხდება დანიშნულებისამებრ, შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობისათვის შემუშავებულია მარეგულირებელი დოკუმენტი. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, საგაკვეთილო ცხრილი ისეა შედგენილი, რომ კლასებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. სკოლაში, სსსმ მოსწავლეთა სრული ჩართულობითა და სპეციალური მასწავლებლების თაოსნობით ფუნქციონირებს სასკოლო თეატრი, რომელსაც ცალკე შენობაში აქვს გამოყოფილი ფართი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. როგორც ავღნიშნეთ, სკოლა ნაწილობრივ არის ადაპტირებული. შენობას აქვს პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები, სკოლაში ირიცხება 11 სსსმ მოსწავლე, არცერთ მათგანს გადაადგილების პრობლემა არ აქვს, მიუხედავად ამისა, სასურველი იქნებოდა სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულიყო მთავარ კორპუსში(ბიბლიოთეკა ცალკე შენობაშია, რომელიც მთავარი კორპუსისგან მოცილებით მდებარეობს). სკოლის ყველა მნიშვნელოვანი რესურსი(სპორტული დარბაზისა და ლაბორატორიების ჩათვლით) მდებარეობს პირველ სართულზე და ამ მხრივ სრულად ხელმისაწვდომია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას ფუნქციონირება უხდება მულტიკულტურულ გარემოში. სწორედ სკოლა და მოსწავლეები წარმოადგენენ დამაკავშირებელ ხიდს ამ ორ თემს შორის. სკოლა ახორციელებს პროექტებს კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, პრეზენტაციებზე იწვევენ თემის წარმომადგენლებს, მშობლებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში. სკოლას არ აქვს ღია სპორტული მოედანი, მაგრამ აქვს საამისო ტერიტორია, რომელსაც თემი იყენებს კულტურული ღონისძიებების მოწყობისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია სასკოლო კურიკულუმის შემუშავება-განხორციელებისათვის ყველა საჭირო რესურსი. სკოლა ცდილობს, თავისი მცირე ფინანსური რესურსი გამოიყენოს მაქსიმალურად ეფექტიანად, შეიძინოს სასკოლო ცხოვრებისათვის ყველა საჭირო საშუალება. ვიზიტის პერიოდში დაგვიდასტურეს, რომ ამ მხრივ რაიმე სახის პრობლემა არ აქვთ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის ინფრასტრუქტურის და რესურსების ვიზუალური დათვალიერება.
ინტერვიუ დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან
შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააჩნია სრულად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საკმარისია სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის, ადმინისტრაციული უზრუნველყოფისათვის გამართულად მუშაობს 5 პერსონალური კომპიუტერი. სასწავლო პროცესისათვის იყენებენ პროექტორებს(5 ერთეული) და სასწავლო-ადმინისტრაციული პროცესების საჭიროებას მთლიანად აკმაყოფილებს 3 ერტეული მულტიფუნქციური სკანერი(მათ შორის ერთ ფერადი).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ზემოთ ხსენებული რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეების, ისე პერსონალისათვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოქმედებს განრიგი და ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპიუტერული ლაბორატორიის დათვალიერება
სკოლის ტექნოლოგიური რესურსით სარგებლობის წესი
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი(დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 12 ოქტომბრის N2-84 ბრძანება). აღნიშნული წესის მიხედვით კლასიფიცირებულია ინდ.აქტების და კორესპოდენციების სახეობები, აქვეა გაწერილი შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი. სკოლის კანცელარიის ფუნქციას ასრულებს საქმისმწარმოებელი, რომელიც აღრიცხავს მატერიალურად ან ელექტრონულად შემოსულ წერილებს, ასევე, eflow-ს საშუალებით შემოსული კორესპოდენციების პასუხების მომზადების საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას. სკოლაში კორესპოდენციები შემოდის ელექტრონულად, eflow-ს ან mes.gov.ge-ს მეშვეობით, პასუხებიც ბრუნდება იგივე ფორმატით. შიდა სასკოლო დოკუმენტბრუნვა ასევე ელექტრინულ ფორმატში მიმდინარეობს, თუმცა ამ მხრივ კიდევ მეტია გასაკეთებელი(ყველა რგოლმა ერთმანეთთან რომ ელექტრონულ ფორმატში აწარმოოს ოფოციალური წარმოება).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას მოწესრიგებული აქვს .სკოლის პროფილში(eschool-ის ბაზა) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასების, მასწავლებლების, პერსონალი თაობაზე, ასევე, მოსწავლეთა მშობლების მონაცემები და მათი საკომუნიკაციო ინფორმაცია. ბაზაში განთავსებულია ინფორმაცია მასწავლებელთა სტატუსების, პერსონალის ხელფასის და დანამატების და საკომუნიკაციო საშუალებების თაობაზე. აქვეა მონაცემები არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ადგილობრივ ორგანოსთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამინისტროს სსიპ-ებთან, საჯარო

ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის საქმისწარმოების წესი
Eschool-ის და eflow-ს ნახვა(დათვალიერება).
ინტერვიუ საქმისმწარმოებელთან

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ გვერდი, რის გამოც ეს უკანასკნელი ვერ ახორციელებს საზოგადოებასთან ოფიციალურ კომუნიკაციას. სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე ატვირთულია მასალები სკოლაში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. სოციალური ქსელის გარდა სკოლა წარმატებით იყენებს ე.წ.მესენჯერს, „ჩატებს“ და online საკომუნიკაციო სისტემებს.

აღნიშნული საშუალებების გარდა, საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ სკოლა იყენებს დასწრებითი სახის შეხვედრებს, საინფორმაციო დაფას და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ვებგვერდის შექმნის შესახებ ინფორმაცია, რითაც დასტურდება, რომ სკოლის ვებ.გვერდი ფუნქციონირებს და მასზედ მასალები განთავსებულია სახელმწიფო ენაზე(ıb.skolebi.emis.ge-ze).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო სერვისის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ვებ.გვერდის ადმინისტრირებას სკოლა ვერ ახორციელებს. რაც შეეხება სანდოობას, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქამდე არავის გაუპროტესტებია, რაც გვაფიქრებინებს, რომ მომსახურების თაობაზე გავრცელებული ცნობები უტყუარი და სანდოა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. როგორც ვიზიტის დროს აგვიხსნეს, სკოლის მიერ გაცემულ ინფორმაციაზე უკუკავშირი ძირითადად ზეპირი ხასიათისაა. სკოლა შეძლებისგვარად ახდენა ასეთი უკუკავშირების ანალიზს და ახდენს მათი შემდგომი გამოყენებას. სკოლას მიეცა რჩევა, დაგეგმოს აქტივობების სერია სასკოლო თემთან კიდევ უფრო მეტი კომუნიკაციისათვის, მოახდინოს ფოკუსჯგუფების გამოკითხვა თემისათვის სასურველი სკოლის და ზოგადი განათლების სერვისთან დაკავშირებით და დამუშავებული შედეგები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი, სადაც განთავსებული იქნებოდა რაიმე სახის ინფორმაცია, მათ შორის სახელმწიფო ენაზე. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ვებგვერდის მისამართი, რითაც დასტურდება, რომ სკოლის ვებ.გვერდი ფუნქციონირებს და მასზედ განთავსებულია საზოგადოების ინფორმირებისათვის საჭირო მასალები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, შესაბამისად, არც რაიმე ინფორმაცია აქვთ მასზედ ატვირთული. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ვებგვერდის მისამართი, რითაც დასტურდება, რომ სკოლის ვებ.გვერდი ფუნქციონირებს და მასზედ

განთავსებულია ინფორმაცია მისია-ხედვა-ღირებულებების, სკოლის სტრუქტურის, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის ვებ.გვერდი

ინტერვიუ დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ძალიან ზოგადია და მასში აქტივობები გაწერილი არ არის სკოლის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, სკოლა ახერხებს შეინარჩუნოს მდგრადობა და იკმაროს თავისი რესურსი სკოლის წინაშე არსებული საკითხების გადასაჭრელად. სკოლა საკუთარი ფინანსური სახსრებით ახერხებს პერსონალის ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების დაფარვას. დარჩენილი ნაშთი მიმართულია სასწავლო რესურსების და სანტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენისათვის. სკოლას მიეცა რჩევა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს თავისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს ამტკიცებს კალენდარული წლის ბოლოს. 20 ნოემბრამდე ამტკიცებს შესყიდვების წლიურ გეგმას. სკოლას არ აქვს შესყიდვების გეგმის შედგენაში სასკოლო საზოგადოების, სკოლის საჭიროებათა კვლევის და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის პრაქტიკა. სკოლა საკუთარ ფინანსურ სახსრებს განკარგავს მომჭირნედ, ახდენს ბაზრის კვლევას(ძირითადად იძენენ საკანცელარიო საქონელს და ჰიგიენურ საშუალებებს). სკოლის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე ხელშეკრულება(შესყიდვის) და მასში ფიქსირებული მიზერული თანხები ნათლად ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ სკოლა მიზანმიმართულად ახდენს სახსრების ხარჯვას. სკოლას გაიჯარებული აქვს მის ბალანზე მყოფი ქონების ნაწილი(ცალკე მდგომი შენობა), საიდანაც შემოსული თანხები ასევე სკოლის საჭიროებებს ხმარდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
შესყიდვის ხელშეკრულებები

შესყიდვების გეგმა თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად.
დირექტორის დეკემბრის ანგარიში
შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმს შეიცავს ამავე სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი ნორმების თანახმად მოსწავლე დაცულია ნებისმიერი სახის ძალადობისაგან, როგორც სკოლის პერსონალის, ისე დანარჩენი მოსწავლეების მხრიდან. შინაგანაწესში მოცემულია დისციპლინური გადაცდომების სახეები

მათთვის გათვალისწინებულ სახდელებთან ერთად. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ მოსწავლის მიმართ განხორციელებული ქმედება შეიცავს გადაცდომის ნიშნებს, დამრღვევი პირის მიმართ ამოქმედდება შესაბამისი მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ სკოლას ამ დრომდე არ აქვს დისციპლინური წარმოების შემთხვევები. როგორც განგვიმარტეს, მოსწავლეებიც და მასწავლებლების(საერთოდ, პერსონალი) ადგილობრივი თემის მოსახლეა, რაც იწვევს საერთო ღირებულებების მიმართ მეტ პატივისცემას და დარღვევებიც მინიმუმამდეა დასული. ამას გარდა, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები გვხვდება მშობელსა/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, სკოლის მიერ დამტკიცებულ რეფერირების წესში, სკოლის რესურსით სარგებლობის წესში და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავღნიშნეთ, სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მის გამჭირვალებას. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის ფუნდამენტურ დოკუმენტს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით, თუმცა სკოლაში ასევე არსებობს სხვა სახის აქტებიც(სკოლის რესურსით სარგებლობის წესი, მოსწავლის რეფერირების წესი, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება), რომელთა რეგულაციები ასევე გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისაგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია სკოლის და მშობლის უფლება-მოვალეობები, ინფორმაცია სკოლის მიერ მიწოდებული მომსახურების თაობაზე. სკოლა იცავს აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის შინაგანაწესი.
მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში
სკოლის მიერ დამტკიცებული რეფერირების წესი
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის**,** საფეხურის დაძლევის**,** მობილობის**,** სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტი. აღნიშნული აქტი ემყარება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04 ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციებს. სკოლას აქვს მოსწავლეთა მობილობის პრაქტიკა(სკოლიდან გადასულის და სკოლაში შემოსული მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვასთან დაკავშირებით). ამის დამამტკიცებელ მაგალითად გამოდგება სკოლის

დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 10 ოქტომბრის N2-71 და 2-72 ბრძანებები სოფელ ნიგვზიანის სკოლიდან სხვა სკოლაში მოსწავლეთა გადასვლის(ამორიცხვა) და 2023 წლის 31 აგვისტოს N2-66 ბრძანება მობილობით გადმოსული მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტას, ამის საჭიროება არ დამდგარა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. Eschool-ის ბაზაში, ასევე, მატერიალურად არსებულ დოკუმენტებში(მოსწავლის პირადი საქმე) სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევა, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის ფორმალური მხარე. პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, რაც ასევე მოწესრიგებული აქვთ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დაწყებით-საბაზო-საშუალო საფეხურებზე. აღნიშნული სერვისის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო- სასწავლო გეგმაში, რომლის დანერგვაც წარმოებს საგნობრივი კურიკულუმების მეშვეობით. ამ საკითხების შესახებ საზოგადოებას/მოსწავლეთა მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის დირექციისაგან და მასწავლებლებისაგან. საამისოდ გამოყენებული აქვთ დასწრებითი შეხვედრების ფორმატი(მშობელთა კრება). მომავალი სასწ.წლიდან სკოლა გეგმავს, მის მიერ განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ საჯარო ინფორმაცია განათავსოს სკოლის ახლად შექმნილ ვებგვერდზე. ამ ეტაპისათვის სკოლას მოსწავლეებისათვის შეთავაზებული არ აქვს ფასიანი სერვისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ ინფორმაციის გავრცელების ძირითად საშუალებას წარმოადგენს დასწტებითი სახის შეხვედრები. სკოლას ამ ეტაპზე მოქმედი ვებ.გვერდი არ გააჩნია. სკოლას აქვს სოც.გვერდი, სადაც ძირითადად განთავსებულია სასკოლო აქტივობების(ღონისძიებების) ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალები. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ საინფორმაციო დაფაზე გვხვდება. სკოლის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია

ვივარაუდოთ, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
დირექტორის ბრძანებები მოსწავლეთა სკოლიდან ამორიცხვა/ჩარიცხვასთან დაკავშირებით
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია დოკუმენტურად. სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ძირითადი სამუშაოები სრულდება კლასის დამრიგებლის მიერ. ცალკე აღნიშვნის საგანია სპეციალური მსწავლებლენისაგან დანერგილი სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტირების პრაქტიკა(რომელიც ასევე გაზიარებულია ჩვეულებრივი მოსწავლეების მიერ და ხელს უწყობს მათ ერთიან სივრცეში ინტეგრირების პროცესს). როგორც ავღნიშნეთ, სკოლას ცხოვრება უხდება მულტიკულტურულ გარემოში, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ადაპტაციის პროცესის სწორი მიმართულებიტ წარმართვას. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის თანამშრომელთაგან განსაზღვროს პირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მოსწავლეთა ადაპტირების პროცესს.

2. სკოლას გააჩნია მექანიზმები მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან შეგუების მიმართულებით. ეს მექანიზმი ფუნქციონირებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობს სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან. პირველკლასელებთან მიმართებაში, კლასის დამრიგებელთან ერთად მოსწავლეები თანხმდებიან კლასში/სკოლაში ქცევის მარტივ წესებზე, ხოლო მაღალ საფეხურებზე ტარდება სადამრიგებლო საათები, რომელზეც განიხილება შინაგანაწესის მოსწავლესთან შემხებლობაში არსებული ნორმები, ასევე, სკოლაში დამკვიდრებული ზოგადი კულტურის და წესების საკითხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლეს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლა აწვდის ინფორმაციას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების კანონიერი მექანიზმების თაობაზე, აღნშნული პირები ინფორმირებულები არიან სემესტრული შეფასების გაპროტესტების, ექსტერნის გამოცდების, ესგ-ს მიხედვით დადგენილი სტანდარტის(შეფასების ნაწილში) დაუკმაყოფილებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოსწავლეებს და მაათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვსთ ინფორმაცია აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების კანონიერი მექანიზმების თაობაზე. აღნიშნულ ინფორმაციას სკოლა ამ უკანასკნელთ აწვდის სასწავლო წლის განმავლობაში, სემესტრის დასრულების პერიოდში. სკოლას არ აქვს აქვს ექსტერნის პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას აქვს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა, ამის მაგალითად გამოდგება სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ინიციატივით დაფუძნებული კლუბის მუშაობის ამსახველი მასალები. აღნიშნულ კლუბს განხორციელებული აქვს როგორც სასკოლო, ისე საგრანტო პროექტები. ამ აქტივობების შედეგად მოსწავლეები ითვისებენ პროექტების მომზადების და განხორციელების უნარ-ჩვევებს, რაც დადებითად მოქმედებს მათ შემდგომ განვითარებაზე, ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო თეატრი, რომელიც წარმატებულია თავის საქმიანობაში და რაც ყველაზე მთავარია, მის ძირითად ბირთვს წარმოადგენს სსსმ მოსწავლეთა გუნდი. ამ დასის მიერ განხორციელებული აქტივობები წარმოადგენს სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის პერსონალის მხრიდან მოსწავლთა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის კლასიკურ მაგალითს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. ასეთი სახის უკუკავშირები ძირითადად ზეპირი სახისაა, რომელსაც სკოლა შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას პირობები სკოლის სტრუქტურული ერტეულების , განსაკუთრებით-მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანოების გააქტიურებისათვის, სასკოლო გარემოს/მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესბის მიზნით სათანადო რეკომენდაციების გაწევის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
ინტერვიუ
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში ამ ეტაპზე არ აქვთ პროფესიული ორიენტაციის საგაკვეთილო საათები, თუმც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლები ატარებენ სადამრიგებლო საათს, სადაც განიხილავენ ცალკეული და მოსწავლეებისათვის საინტერესო პროფესიების შესახებ საკითხებს, მოსწავლეებთან შესახვედრად ეპატიჟებიან სხვადასხვა პროფესიების ადამიანებს. სკოლას მიეცა რჩევა, მოძებნოს და გააფორმოს მემორანდუმი რაიონის/რეგიონის მასშტაბით არსებულ პროფესიულ სასწავლებელთან, ასევე, მუნიციპალიტეტში არსებული შრომითი ბაზრის გათავლისწინებით უზრუნველყოს შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირება და დაგეგმოს აქტივობები ამ მიმართულებით მოსწავლეთა მეტად დაინტერესებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა, კლასების დამრიგებლების მეშვეობით(უფრო საბაზო-საშუალო საფეხურებზე) მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სურვილის შემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს, გავიდეს საბაზო საფეხურიდან და მიიღოს პროფესიული განათლება, ან გააგრძელოს სწავლა საშუალო საფეხურზე და ამის შემდეგ დაეუფლოს პროფესიულ ან/და უმაღლეს განათლებას. აღნიშნული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას არ აქვს გაწეული მომსახურების შეფასების დოკუმენტირებული მექანიზმი და არც რაიმე სახის ანგარიში არსებობს შეფასების შედეგების ეტაპობრივი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მომსახურების შეფასების მექანიზმად სკოლა ასახელებს კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომების ოქმებს, ასევე, მასწავლებლებისათვის ზეპირი სახის რეკომენდაციების მიცემას. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რჩევა, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს კითხვარები(ჩაატაროს კვლევა) და ინტერვიუები ფოკუსჯგუფებთან, ხოლო შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი სემესტრში/სასწავლო წლისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინტერვიუ

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის ირიცხებოდა 11 სსსმ მოსწავლე. აღნიშნულ მოსწავლეებს დახმარებას უწევს 2 სპეციალური მასწავლებელი(მათგან ერთს უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს). თითოეული მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფი და ინდივიდუალური გეგმა, რესურსოთახი სრულად არის აღჭურვილი. სკოლაში არ ჰყავთ ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, როგორც ავღნიშნეთ, სასკოლო გარემო ნაწილობრივ ადაპტირებულია(ლიფტი არ აქვთ). სკოლა აწარმოებს შიდა მონიტორინგს სსსმ მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ათვისების და სერვისის გაუმჯობესების მიზნით. მოსწავლეები ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესში. ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია eschool-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შეიმჩნევა ამ ტიპის მოსწავლეებთან განსაკუთრებული მხარდამჭერი გარემო, სკოლის პერსონალი ჩართულია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში(სკოლის ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს მოსწავლეებს, დირექცია, რომელიც იძენს შესაბამის რესურსებს, მასწავლებლები, რომლებიც ახორციელებენ ინდ.გეგმის დანერგვას). აღსანიშნავია, რომ ერთერთი სპეციალური მასწავლებელი სათავეში უდგას ამ მოსწავლეების ბაზაზე შექმნილ სასკოლო თეატრს. თეატრისათვის გამოყოფილია ადგილი სკოლის ცალკე მდგომ შენობაში. ეს სივრცე აღჭურვილია რეპეტიციისათვის აუცილებელი რესურსით. აღნიშნული თეატრი წარმოდგენებს მართავს არამარტო სკოლის და მუნიციპალიტეტის დონეზე, ასევე მონაწილეობს

რეგიონალური და რესპუბლიკური მასშტაბით. 2022 წელს დასმა სპექტაკლები გამართა სიღნაღის საერთაშორისო ფესტივალზე, ასევე, ბათუმში, ხოლო ამ ეტაპისათვის მიწვეულები არიან გორსა და ზუგდიდში. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ზოგ შემთხვევაში სკოლა თვითონ უზრუნველყოფს ამ პირთა საგასტროლო გადაადგილებას. ასეთი ტიპის აქტივობები ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა განვითარებას და საზოგადოებაში მათ სრულ ინტეგრაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ისგ ჯგუფების ბრძანებები
ინდივიდუალური გეგმები
სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრები.
რესურსოთახის დათვალიერება
ინტერვიუ სპეციალურ მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი **(**არასავალდებულო**)** მომსახურება **(**არსებობის შემთხვევაში**)** ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი *(*არასავალდებულო*)* მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი**.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს რაიმე სახის დამატებითი მომსახურების სერვისი
2. ასეთი ტიპის სერვისი სკოლას არ გააჩნია.
3. სკოლას დამატებითი სერვისები არ აქვს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი **IV.** მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი **2**	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დაწყებით საფეხურზე დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები: ა) საგნობრივი კურიკილუმები; ბ)სასკოლო პროექტები; გ) სადამრიგებლო საათი; დ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, მის გადასინჯვას და რევიზიას. როგორც სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ასევე ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ სკოლაში გარკვეულწილად გადანაწილებულია საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით.

კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კერძოდ, კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აზრს, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. მასწავლებლები კათედრის სხდომაზე განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმში შესატან საკითხებზე, აქტივობებსა და კომპლექსური დავალების იდეებზე. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს მშობელთა ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა შესაძლებლობები და მზაობა, საგნის მასწავლებელთა გამოცდილება და უკუკავშირი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ამ პროცესებში პასუხიდმგებლობები გადანაწილებულია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის

შესაძლებლობიდან გამომდინარე. კურიკულუმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება კი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით.
ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზეა დაფუძნებული. მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოსწავლეთა განვითარების წინაპირობაა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

მათში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები).
საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.
რჩევა: მუსიკა-კარგი იქნება თუ უცხო ენის კათედრას მომავალში შემუშავებული ექნება მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის მიღების მექანიზმი სასწავლო პროცესებთან, ამათუ იმ დავალებასა თუ აქტივობასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის გაცნობის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და სკოლის შეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება ჩართულია უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სრულად ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეები და სკოლის დირექცია. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ

რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

რჩევა: მუსიკა-კარგი იქნება მშობელთა ამ მხრივ ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი თუ იარსებებს კათედრაზე

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, აგრეთვე სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, კერძოდ მშობლებისა და მოსწავლეებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია ზიარდება მშობელთა კრებაზე. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსებს. შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები (I-VI);
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესში შერჩეული აქვთ საგნობრივი ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, მათ მიერ შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი კომპლექსური დავალებები შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით, ჩამოყალიბებული იდეებით და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებსაა მორგებული. ითვალისწინებენ საგნობრივი სტანდარტების მისაღწევ შედეგებს და ცდილობენ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მოახდინონ სამიზნე ცნებების დაფარვა. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მიზნები მუშავდება ე.წ. სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კერძოდ, კურიკულუმში მოცემულია სავალდებულო თემები, სადაც შერჩეულია ძირითადი საკითხი, რომელიც განსაზღვრავს შუალედურ სასწავლო მიზანს და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ქვეცნება მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში არის მცირედი ცდომილება, კერძოდ, თემაში, სადაც გაწერილია შუალედური სასწავლო მიზანი, არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მაგრამ გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კიდევ ერთხელ განიხილავენ კათედრაზე და შეძლებისდაგვარად, აღნიშნულ თემაში, დაამუშავებენ კიდევ ერთ შუალედურ სასწავლო მიზანს, რომ დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება.მასწავლებლები აღნიშნენ, რომ სწავლა-სწავლების დროს ცდილობენ მოსწავლეებს გადაცენ არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა, არამედ მათ შეძლონ მისი გამოყენება და კავშირების დამყარება რეალურ ცხოვრებასთან. მაგ. დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების დროს მოსწავლეებს ეხმარებიან გააცნობიერონ, რატომ

უნდა ისწავლონ ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება და სხვა. გასაუბრებისას მათ აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემები, საკითხები, ქვესაკითხები, რომელიც მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. შერჩეული საკითხები და მათი დამუშავების გზები, სასწავლო რესურსების გამოყენებით, მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სიღრმისეულად გაიაზროს დავალების იდეა. კურიკულუმებში მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლის დამუშავების პროცესი თავისთავად მოიცავს მოსწავლის ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარებასა და საკითხის სიღრმისეულად გააზრებას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ შეეცდებიან კომპლექსური დავალების დამუშავების დროს მეტი ყურადღება მიაქციონ ფუნქციური უნარების განვითარებას. მუსიკის საგანში სკოლის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმი შევსებული იყო კურიკულუმის ძველ ფორმაში. აღნიშნული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართებოდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. ხოლო ახალ ჩარჩოში გაწერილი კურიკულუმის გამოთხოვის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი სახის ხარვეზი: სასკოლო კურიკულუმები არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კერძოდ, I-V კლასის მუსიკის კურიკულუმებში სრულად შევსებულია მხოლოდ პირველი თემის გრაფები, ხოლო მომდევნო თემებში შევსებულია მხოლოდ თემის და ცნება/ქვეცნების გრაფები. VI კლასის კურიკულუმში შევსებულია მხოლოდ მეორე თემის გრაფები, ხოლო დანარჩენი სამი თემის შემთხვევაში თემის და ცნების გრაფები. მუსიკის საგნის მიმართულებით, სასწავლო წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შევსება ძველ ჩარჩოზე დაყრდნობით. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ზემოთ ხსენებული კლასების კურიკულუმების გასწორებული ვერსია, რის შედეგადაც ხარვეზი აღმოფხვრილია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინდივიდუალურ/ ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დროს თვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს. მოსწავლეს სთავაზობს მაზე მორგებულ მრავალფეროვან სასწავლო მასალასა და რესურსებს, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. სკოლას ამ ეტაპზე ყველა საფეხურზე ჰყავს სსმ მოსწავლეები, შესაბამისად წარმოადგინა 11 ინდივიდუალური გეგმა, სადაც ეტაპობრივად გაწერილია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის ნაბიჯები. ამ პროცების დასაბუთებად კი წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმები.

მიმდინარე სასწავლო წლიდან ფიქრობენ დიფერენცირებული მიდგომების მეტად აქტიურად დანერგვას და სასწავლო პროცესში მათ მიზანმიმართულ გამოყენებას,

რჩევა : კარგი იქნება თუ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უფრო მკაფიოდ იქნება სსსმ მოსწავლეზე მორგებული დავალებები და აქტივობები თემების მიხედვით გაწერილი

ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, რომ სკოლას შერჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი. დაწყებით საფეხურზე (5 კლასის მეორე სემესტრამდე) აქცენტი გადატანილია განმავითარებელ შეფასებაზე. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში ხორციელდება სიტყვიერი განმავითარებელი შეფასება. მათ აღნიშნეს მეტ ყურადღებას გაამახვილებენ განმავითარებელი შეფასების რეკომენდაციების ფორმაზე და ერთობლივი მუშაობით შეეცდებიან ხარისხის სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.

რჩევა : მნიშვნელოვანია განმავითარებელ შეფასებაში მკვეთრად მიუთითოთ რა მოლოდინები გაქვთ მოსწავლისაგან. მნიშვნელოვანია აგრეთვე მშობლის ინფორმირება მისი შვილის განვითარების დინამიკის შესახებ, რომელიც დაეყრდნობა თქვენს მიერ განხორციელებულ დავალებებს და იმ დაკვირვებებსა და უკუკავშირებს, რომელსაც თქვენ გასცემთ.

ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი -სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნავს, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების

დაგეგმვისას გაითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებას და ანალიზს მოახდენენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სასკოლო საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნისლია პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილზე, გამოცდილებას უზიარებენ და ძალიან ცდილობენ, რომ კურიკულუმები,ინდ/გეგმები თუ სხვადასხვა პროექტები ისე დაგეგმონ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წიარმატებები გაითვალისწინონ და ახალი გამოწვევები კი მოსწავლის განვითარების საჭიროებას მოარგონ.

ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დანართი - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- დანართი- კათედრისა და პედსაბჭოს ოქმები
- დანართი- შეფასების რუბრიკები
- დანართი - კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის მეთოდოლოგია
- დანართი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ჯგუფის შექმნა
- დანართი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- დანართი- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან ორიენტირებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს შემოქმედებითი პროცესების და მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია კურიკულუმები და არაფორმალური განათლების პროექტები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოითხოვს მოსწავლისაგან ყურადღებას, კონცენტრაციასა და პროცესისადმი შემოქმედებით მიდგომას. ამავე დროს, სკოლაში ფუნქცონირებს საკლუბო წრეები, მაგ: „პინოქიო“, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებითი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები და საკლუბო აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს შეძლონ გამოწვევების მიღება და გაბედული ნაბიჯების გადადგმა. ეს კი უზრუნვლყოფს, რომ ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური და მაღალი თვითშეფასების უნარი.

საგნობრივი კურიკულუმები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას ახდენს მრავალფეროვან საკითხებზე დაყრდნობით, ხოლო საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა რეალურ გარემოში წარმოიდგინოს საკუთარი თავი, რაც მას სწავლის პროცესის სუბიექტად წარმოაჩენს. მოსწავლეს ასევე აქვს შესაძლებლობა განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები, მაგ. პლაკატი, სტატია, კომიქსი, ბუკლეტი, პოსტერი, ფოტო-კოლაჟი.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს კურიკულუმის მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში განხორციელების ეტაპები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოახდინოს ახალი მასალის დაშენება წინა მასალაზე დაყრდნობით .

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3 . დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. სკოლის თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებიდან, და განხორციელებული არაფორმალური განათლებით ჩანს, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის განხორციელების დროს კითხვები,

აქტივობები ისე დაგეგმონ, რომ კომპლექსური დავალების შესრულების, ან პროექტული სწავლების დროს მეტად გააქტიურონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა.

რჩევა: საზოგადოებრივ მეცნიერებებში კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოს გარდა მრავალფეროვანი რესურსების შეთავაზება V-VI კლასში, რომ მოსწავლემ შეძლოს ფართო სპექტრით ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, რომელიც მოსწავლეთა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დაუკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს, დაფიქრდნენ და იპოვონ გამოსავლის გზები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა განხორციელებული არაფორმალური განათლების პროექტები, საიდანაც ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან მრავალფეროვანი აქტივობებით სასწავლო პროცესში და ეტაპობრივად ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები(I-VI)
- კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს**.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნვეყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გაანალიზებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მთავარი ორიენტირი სამიზნე ცნებების დამუშავებაა, კონკრეტული სამიზნე ცნების დამუშავება კი მისი მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას მოიცავს. სავალდებულო თემებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, რომელიც მუშავდება კომპლექსური დავალების სახით, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. კურიკულუმში წარმოდგენილი ქვეცნებები მიმართულია საკითხებებსა და ქვესაკითხებზე. სწავლა-სწავლების პროცესში იკვეთება კავშირები თემატურ ბლოკს, სამიზნე ცნებასა და ძირითად საკითხებს შორის. საკითხების დასამუშავებლად ძირითადად გამოყენებულია სახელმძღვანელოს რესურსები. მუსიკის საგანში სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმი შევსებული იყო არასწორად, კურიკულუმის ძველ ფორმაში, ხოლო თვითონ კურიკულუმები მიემართებოდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას მიზნებს. ავტორიზაციის ჯგუფის სკოლაში ვიზიტის დროს, საგნობრივი ექსპერტების omline ჩართვისას ვისაუბრეთ ამ საკითხის შესახებ და სკოლისგან მოვითხოვეთ აღნიშნული შეუსაბამობის გასწორება. ვიზიტის მეორე დღეს მოწოდებულ კურიკულუმებში გამოიკვეთა გარკვეული სახის სეუსაბამობა, კერძოდ, დაწყებითი კლასების(I-V კლასის) კურიკულუმებში სრულად შევსებულია მხოლოდ პირველი თემის გრაფები. მომდევნო თემებში შევსებულია მხოლოდ თემის და ცნება/ქვეცნების გრაფები, VI კლასის კურიკულუმში შევსებულია მხოლოდ მეორე თემის გრაფები, ხოლო დანარჩენი სამი თემის შემთხვევაში- თემის და ცნების გრაფები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა რჩევა, 2023/24 სასწ.წლის

განმავლობაში განახლებული იქნას დაწყებითი კლასების კურიკულუმი(ახალი ჩარჩოს შევსება განხორციელდეს ძველი კურიკულუმის ჩარჩოზე დაყრდნობით).
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) ფორმირებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას და ადამიანებთან ურთიერთობას, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს დაწყებით საფეხურზე თითოეულ სასწავლო დისციპლინას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემო მყოფებთან. ემოციური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა თანაგრძნობა და სათანადოდ რეაგირება. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში გაწერილია ძირითადი საკითხები, რომელიც კომპლექსური დავალების სახით მუშავდება. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს დააფიქროს საკუთარ შესაძლებლობებზე, ქმედებებზე, ემოციებზე. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა, რომ მოსწავლემ შეძლოს თავისი შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითრებისათვის მასწავლებლებს მოსწავლეები ჩართული ჰყავთ არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში.
ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია

3. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებიდან და არაფორმალური განათლების აქტივობებიდან ჩანს, რომ სწავლების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, მოსწავლის შემეცნებითი და სოციალური უნარების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად. სკოლაში ამ ეტაპზე განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია

4. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებულია. სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში სასწავლო პროცესის ანგარიში, (რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კათედრის ოქმები) და მუდმივად ხორციელდება შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების სისტემა სანდოა და სამართლიანი, მაგრამ ისიც აღნიშნეს, რომ შეფასების მექანიზმები საჭიროებს კიდევ უფრო დახვეწასა და დამუშავებას, განსაკუთრებით კი განმავითარებელი შეფასება.

რაც შეეხება სემესტრის, სასწავლო წლის დასარულს, სკოლა ახდენს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას უკვე მიღებული ცოდნის და სასწავლო წლის მიღწევების დასადგენად, სუსტი მხარეების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია

5. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და გვიჩვენებს რამდენად სრულდება სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი მიზნები და მიიღწევა შედეგები. სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმი ცალკე დოკუმენტად წარმოადგინა. სადაც გაწერილია, რომ ვერიფიკაცია სამი მიმართულებით (პროცესის ვერიფიკაცია, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია და მტკიცებულების ვერიფიკაცია) ხორციელდება. განხორციელებისა და შესრულების გზები ნაბიჯებადაა ჩაშლილი და განაწილებულია საპასუხისმგებლო ფუნქციები

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებლნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მოსწავლეებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო-სასწავლო გეგმა და კათედრის ოქმები, სადაც დღის წესრიგშია შეტანილი დიაგნოსტიკური ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები.

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ **3** წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს მონაცემების შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი - კურიკულუმები
დანართი - სასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
დანართი - ვერიფიკაციის მექანიზმი
დანართი - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. ამის მტკიცებულებას წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა და ა.შ. დეტალურადაა წარმოდგენილი სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხა სტრატეგიები. არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილია უამრავი აქტივობა, კლუბებში მუშაობა და განხორციელებული სასკოლო პროექტები. სსსმ მოსწავლეთათვის შედგენილია ინდგეგმები და მოდიფიცირებული რესურსები, აქტივობები. სკოლაში ღიაობა და მიმღებლობითი გარემოა შექმნილი.

ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამისობაშია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები საგნობრივ სტანდარტთან სრულ თანხვედრაშია. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელება ეფუძნება მოსწავლის ცოდნისა და უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს ერთმანეთის მხარდაჭერა, გაკვეთილებზე დასწრება, შეჯამება, პროცესის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, არაფორმალური განათლება და ა.შ
ინდიკატორი 2.2.3.2. შესაბამისობაშია

3. ასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად სკოლაში იკვეთება თანამშრომლობითი გარემო. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას. მასწავლებლები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ საგაკვეთილო პროცესისა და საერთო პრობლემურ საკითხებს. ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს. როგორც ინტერვიურების დროს გამოიკვეთა მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების მაღალი აკადემიური შედეგებისათვის. მასწავლებლები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ისინი

აანალიზებენ მონაცემებს თითოეული მოსწავლისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს.
ინდიკატორი **2.2.3.3.** შესაბამისობაშია

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
მასწავლებლებთან გასაუბრებისას დროს გამოიკვეთა, რომ პოზიტიური გარემო და თანამშრომლობითი ურთიერთობები სასკოლო ცხოვრების თითქმის განუყოფელი ნაწილია, რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ნდობა და პატივისცემა. ასეთივე კეთიგანწყობილი და თანამშრომლობითი ურთიერთობები აქვთ დამყარებული მოსწავლეებთანაც. მათ აქვთ შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვის, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები მასწავლებლები ცდილობენ კლასში შექმნან მშვიდი გარემო, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს თავისი უნარების განვითარება.
ინდიკატორი 2.2.3.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:
დანართი - სასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი -სასკოლო კურიკულუმები
დანართი- არაფორმალური განათლების აქტივობები/

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც თანმიმდევრულად არის გაწერილი როგორ უნდა განხორციელდეს სკოლაში მონიტორინგი. ამ ეტაპზე მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია. სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით პრაქტიკის გაუმჯობესებას და მომავალ წელს ამ პროცესებში ჩართოს სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, როგორ განხორციელდება სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. □როგორც აღნიშნავენ, პროცესების, მოსწავლეების, პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება მოხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წყარო იქნება როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ, სასწავლო პროცესის შეფასებისას რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სისრულე, მრავალფეროვანი მეთოდებით მონაცემების შეგროვება, სხვადახვა წყაროსა და რესურსის გამოყენება. აღნიშნეს, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის მონიტორინგისთვის გეგმავენ დღიურის შექმნას, რომელშიც აღიწერება პროცესი, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის, თვითშეფასების ბარათებისა და მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე მიღებულ მონაცემებს დაამუშავებენ – ახსნის სხვადასხვა ინსტრუმენტს (მათ შორის, ანგარიშის ფორმას) გამოიყენებენ და ამის საფუძველზე შეაფასებენ.
ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისობაშია

2. როგორც აღნიშნავენ, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მოპოვება ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. მასწავლებელი სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ანალიზის დროს, თავისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას ითვალისწინებს მთლიან კონტექსტს – როგორც საკლასო და სასკოლო კლიმატს, ისე დავალების განხორციელებისას რამდენად შესთავაზა მიზანმიმართული რესურსები და აქტივობები, რამდენად გაითვალისწინა მოსწავლის წინარე ცოდნა, მისი ინტერესები და შესაძლებლობები და ა. შ.
ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია და სხვა. რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ასევე აღნიშნეს, რომ აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ჩატარების გამოცდილება, სამომავლოდ დაგეგმეს სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე ინსტრუმენტის გამოყენება.
ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლაში დაწყებით საფეხურზე შეფასება წარმოებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებს, ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას და შესრულებულ დავალებას აფასებენ შესაბამისი შეფასების რუბრიკით, რომელიც ეფუძნება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, ითვალისწინებენ სსსმ მოსწავლეების საჭიროებას და ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას , ადგენენ და აქტიურად იყენებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

მტკიცებულებები

- კურიკულუმები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებული აქვთ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის გარდა, დანერგვის პროცესის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და რევიზიას. მასწავლებლებს გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები. ამ მიზნით იკრიბებიან კათედრებზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და მიგნებებს, თუ რამდენად გაუმჯობესდა წინა

სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ასევე გამოიკვეთა რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას. მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლაში გაწერენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, როგორც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. სასკოლო კურიკულუმის მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში კვლევის შედეგად შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. კურიკულუმის განვითარებაში და გადამუშავებული ვერსიის შექმნაში აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექცია და მშობლები, ანუ მთლიანად სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ახორციელებენ ურთიერთდასწრებას გაკვეთილზე, ასევე სკოლაში მოქმედებს ხარისხის გავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. სკოლაში სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. ითვალისწინებენ მასწავლებლის რეფლექსიას წარმატებით განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, რომლის ანალიზსაც მოახდენენ კათედრაზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმში აისახება გამოკვეთილი საჭიროებები და წინარე გამოცდილება. აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი **V.** თანდართული დოკუმენტაცია

2. სასკოლო კურიკულუმი -

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საბაზო საფეხურზე დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები: ა) საგნობრივი კურიკულუმები; ბ)სასკოლო პროექტები; გ) სადამრიგებლო საათი; დ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, მის გადასინჯვას და რევიზიას. როგორც სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ასევე ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ სკოლაში გარკვეულწილად გადანაწილებულია საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით.

კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კერძოდ, კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აზრს, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. მასწავლებლები კათედრის სხდომაზე განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმში შესატან საკითხებზე, აქტივოპებსა და კომპლექსური დავალების იდეებზე. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს მშობელთა

ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა შესაძლებლობები და მზაობა, საგნის მაწავლებელთა გამოცდილება და უკუკავშირი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მათში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები).

საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

რჩევა: კარგი იქნება თუ უცხო ენის კათედრას მომავალში შემუშავებული ექნება მშობლელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის მიღების მექანიზმი სასწავლო პროცესებთან, ამათუ იმ დავალებასა თუ აქტივობასთან დაკავშირებით

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სრულად ჩართულია საკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეები და სკოლის დირექცია. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები

მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, აგრეთვე სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები, შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმებიდასტურდება.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **1**სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული აქვთ ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, მათ მიერ გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, სულ მცირე იდეის დონეზე მაინც ,რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. კონკრეტულად, წარმოდგენილ ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოებში (VII-IXკლასი) ყველა სტრუქტურული ერთეული (თემები, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, კომპლექსური დავალების იდეები ,კონტექსტ-მაგალითები და მაგალითი შედარებისთვის, რესურსები) სწორადაა განსაზღვრული. ხოლო წარმოდგენილ ბიოლოგიის (VII-IX) და ქიმიის (VIII-IX)კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სავალდებულო ველი შევსებულია და ყველა კლასის სულ მცირე ერთ თემაში მაინც სწორადაა დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და კარგად იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას წარმოადგენს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი სასწავლო წლისთვის. მოსწავლეთა მიღწევების სადიაგნოსტიკო მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის აქვს დაგეგმილი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათ მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-ე საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. მტკიცებულებად წარმოადგინეს კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, ვირტუალურ ლაბორატორიაში მუშაობა , პოსტერების შექმნა, სტატიის დაწერა, კვლევითი ნაშრომის შექმნა...),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და ავითარებს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. ამ უნარების განვითარებას ასევე ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო პროექტებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა(სასკოლო პროექტის ფარგლებში განახორციელეს აქტივობა „წყლის გაფილტვრა“). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის დროს მოსწავლეებს სთავაზობენ „მოძრაობას“ მარტივიდან რთულისკენ, ამასთანავე, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს . ფიქრობენ, რომ შედეგად მიიღებენ იმას , რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და

ეფექტური კომუნიკაციის უნარები, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც და გასაუბრებიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა გულისხმობს როგორც განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში(სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწავლა და ა.შ.) ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში ისინი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლები 2023-24 სასწავლო წლიდან ფიქრობენ დიფერენცირებული მიდგომების აქტიურად დანერგვას და სასწავლო პროცესში მათ მიზანმიმართულ გამოყენებას.

რჩევა : უცხო ენა -კარგი იქნება თუ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უფრო მკაფიოდ იქნება სსსმ მოსწავლეზე მორგებული დავალებები და აქტივობები თემების მიხედვით გაწერილი

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას - განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგები გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: ზეპირ კომენტარს კონსტრუქციული უკუკავშირის ფორმით, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, ერთ წინადადებიან შეჯამებას, ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარის აგროვებენ სანდო ინფორმაციას მოსწავლის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული, სამიზნე უნარის გამოყენების შესახებ, ახდენენ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც სწავლების პროცესში შეაქვთ შესაფერისი ცვლილებები. ფიქრობენ, რომ სამომავლოდ საბაზო საფეხურზე კიდევ უფრო მეტად იქნას გამოყენებული განმავითარებელი შეფასეშეფასება, შეარჩიონ ისეთი ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ მოახდენს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, და გახდება მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწმყობი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებას და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. თითეულ საგანში წარმოდგენილი იქნა თითო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი -სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნავს, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წარმატებულ გამოცდილებებს, ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზებს და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიების საფუძველზე ააგებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს. სამომავლოდ აპირებენ პროცესის გაუმჯობესების მიზნით თითოეულმა საგნის მასწავლებელმა აწარმოოს „კომპლექსური დავალების დღიური“, რომელშიც ჩაინიშნავს განხორციელებული ეტაპების სუსტსა და ძლიერ მხარეებს და ამ ინფორმაციას გამოიყენებს ანალიზის დროს და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას.

> რჩევა : უცხო ენა-წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზში კარგი იქნება გამოკვეთილი იყოს შედეგების საფუძველზე გამოვლენილი მოსწავლეთა ტიპიური საჭიროებები, რომლის გათვალისწინებითაც წარიმართებოდა სწავლების შემდგომი პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

VII- IX კლასის კურიკულუმები.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

კომპლექსური დავალებების მატრიცები (ადგილზე);

შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზები (ადგილზე);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია ჩარჩო- დოკუმენტებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მიმდინარე სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი. როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში. მაგალითად უცხო ენის კათედრამ ქართული ენის კათედრასთან ინტეგრირებით განაცორციელა პროექტი ,,ცისფერყანწელები „პროექტის მიზანი იყო გაცნობოდნენ ფრანგი და ქართველი სიმბოლისტების პოეზიას და გაევლოთ პარალელები.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმების განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას.მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადი გახდა,რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას გეგმავენ, ეტაპების მიხედვით, რომ ყოველი საკითხის დამუშავება მოითხოვს კონკრეტულ წინარე ცოდნას, რაზედაც უნდა დაშენდეს ახალი მასალა. ისინი წარმატებულ პრაქტიკად მიიჩნევენ გაკვეთილის დაწყებას "გონებრივი იერიშის" მეთოდით, წინარე ცოდნის გააქტიურება,საიდანაც ადვილად გადადიან ახალი თემის მიწოდება/დამუშავებაზე. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ტექსტის ანალიზის დროს ხშირად მიმართავენ პერსონაჟის რუკის შექმნის მეთოდს, რაც ეხმარებათ ტექსტის გაანალიზებაში, მეთოდის აქტიურად გამოყენება მოსწავლეებს აოსტატებს უცხო ტექსტის განხილვასა და გააზრებაში. წინარე ცოდნა საწყისი ეტაპია კომპლექსურ დავალებაში, რომლის გარეშეც რთულდება საბოლოო პროდუქტის შექმნა

პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. ამასთანავე, წარმოდგენილ დავალებათა იდეებიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა ჩამოყალიბებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3 . სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ საბაზო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის" უნარზე. ამის მაგალითია კურიკულუმის ჩარჩო -დოკუმენტებში მოცემული კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად , კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას , ამიტომ ამგვარი ტიპის დავალებების წარმოდგენა სკოლის მიერ საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები იღებენ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნებს , ეძებენ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიებს და არეგულირებენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებებს.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4. საბაზო საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს როგორც დაგეგმილ კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე განხორციელებულ

ღონისძიებებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებასა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე კათედრებს აქვთ გამოცდილება და მზაობა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთონ აქცენტები. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სირღმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. ამის მაგალითია მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზების საშუალებას აძლევს. სკოლას წარმოდგენილიაქვს ასევე შემუშავებული კომპლექსური დავალების პირობები და მათი განხორციელების ეტაპები . პედაგოგებში შეიმჩნევა მზაობა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის წარმატებით გაართვან თავი დასახულ ამოცანებს : თემებთან მიმართებაში იმუშაონ ცოდნათა ურთიერთკავშირზე. სკოლა აკეთებს აქცენტს, შეუწყოს ხელი კონსტრუქტივისტული პრინციპების მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს**.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მართალია, კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად იციან აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია

2. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და პირობები, ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. მუშაობის პროცესში მოსწავლეს ხშირად უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, აქვთ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოცდილება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. მოსწავლეები იძენენ თვითრეფლექსიის უნარსა და სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო ჩვევებს. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური

აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდისა და განვითარების პროცესს.

ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია

3. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებისების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს. წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ ურთიერთშეფასებებს. ახალი სასწავლო წლისთვის მზად არიან თემების შესაბამისად გამოიყენონ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები.

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია

